



Tax • Audit • Consulting

შპს სპეცკომფორტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს სპეცკომფორტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც მსს ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 9 ოქტომბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: მირზა დარბაიძე
9 ოქტომბერი 2024 წელი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სპეცკომფორტის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს სპეცკომფორტის (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით, ნაცვლად რეალური ღირებულებისა, როგორც ეს მოითხოვება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მე-16 განყოფილებით, რაც წარმოადგენს მსს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენს 196,221 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის 27,320 ლარს).

ჯგუფს არ მოუხდენია შეძენილი (კონტროლის ქვეშ მყოფი) კომპანიის ნეტო აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით, შედეგად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები და ჯგუფის გუდვილი არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გუდვილის საბალანსო ღირებულება შეადგენს 535,852 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს 598,893 ლარს).

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას. შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება კომპანიის მიერ აღრიცხული მარაგების სისწორეში. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,312,514 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს 1,691,122 ლარს).

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს“-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო

მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს თიემსის სახელით (რეგ. # SARAS-F-156621)
ლევანი აგლაძე (რეგ. # SARAS-A-311380)

10 ოქტომბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	5	17,205,586	8,105,326
ამონაგების თვითღირებულება	6	(10,327,019)	(5,276,594)
საერთო მოგება		6,878,567	2,828,732
მიწოდების ხარჯები	7	(1,340,926)	(655,803)
პერსონალის შენახვის ხარჯები	8	(1,927,963)	(739,507)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	12-15	(345,116)	(180,651)
სხვა საერთო ხარჯები	9	(1,076,835)	(454,685)
საოპერაციო მოგება		2,187,727	798,086
ფინანსური შემოსავალი		913	4,989
ფინანსური ხარჯები	10	(749,189)	(396,269)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	11	304,045	702,913
მოგება დაბეგვრამდე		1,743,496	1,109,719
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,743,496	1,109,719
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,743,496	1,109,719

დირექტორი: მირზა დარბაიძე



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	9,811,662	7,939,741
საინვესტიციო ქონება	13	196,221	27,320
არამატერიალური აქტივები	14	281,262	32,380
გუდვილი	15	535,852	598,893
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,824,997	8,598,334
მარაგები	16	2,312,514	1,691,122
წინასწარ გაწეული ხარჯები	17	79,355	-
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	18	28,460	17,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	633,767	505,220
წინასწარ გადახდილი გადასახადები		455,871	215,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	1,718,320	266,990
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,228,287	2,696,777
სულ აქტივები		16,053,284	11,295,111
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		301,378	379,343
გაუნაწილებელი მოგება		6,288,239	4,544,743
სულ საკუთარი კაპიტალი		6,589,617	4,924,086
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	21	5,859,994	4,264,870
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,859,994	4,264,870
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22	1,833,833	773,014
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	21	1,555,805	1,194,596
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23	214,035	138,545
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,603,673	2,106,155
სულ ვალდებულებები		9,463,667	6,371,025
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16,053,284	11,295,111



კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2022 წლის 22 ივნისის მდგომარეობით	519,343	3,435,024	3,954,367
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,109,719	1,109,719
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(140,000)	-	(140,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	379,343	4,544,743	4,924,086
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,743,496	1,743,496
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(77,965)	-	(77,965)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	301,378	6,288,239	6,589,617



კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2023 ლარი	2022 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	20,323,846	15,747,592
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(11,936,044)	(9,982,911)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,615,811)	(1,864,075)
გადახდილი გადასახადები	(2,138,458)	(1,316,420)
ფულადი სახსრების კორექტირება	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,633,533	2,584,186
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,529,948)	(2,111,978)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(50,000)	(35,150)
მიღებული სახელმწიფო დაფინანსება	342,032	380,967
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(17,350)	(207,485)
მიღებული პროცენტები	-	-
ცვლილებები სხვა საწარმოს მონაწილეობაში	-	(494,563)
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,255,266)	(2,468,209)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	1,919,976	68,013
გადახდილი პროცენტები	(749,728)	(710,593)
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	(77,965)	321,236
გადახდილი დივიდენდები	-	-
სხვა საწარმოს დაფინანსება	-	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,092,283	(321,344)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,470,550	(205,367)
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(19,220)	(18,640)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	266,990	490,997
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,718,320	266,990



კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	5	17,205,586	8,105,326
ამონაგების თვითღირებულება	6	(10,327,019)	(5,276,594)
საერთო მოგება		6,878,567	2,828,732
მიწოდების ხარჯები	7	(1,340,926)	(655,803)
პერსონალის შენახვის ხარჯები	8	(1,927,963)	(739,507)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	12-15	(345,116)	(180,651)
სხვა საერთო ხარჯები	9	(1,076,835)	(454,685)
საოპერაციო მოგება		2,187,727	798,086
ფინანსური შემოსავალი		913	4,989
ფინანსური ხარჯები	10	(749,189)	(396,269)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	11	304,045	702,913
მოგება დაბეგვრამდე		1,743,496	1,109,719
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,743,496	1,109,719
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,743,496	1,109,719

დირექტორი: მირზა დარბაიძე _____

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	9,811,662	7,939,741
საინვესტიციო ქონება	13	196,221	27,320
არამატერიალური აქტივები	14	281,262	32,380
გუდვილი	15	535,852	598,893
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,824,997	8,598,334
მარაგები	16	2,312,514	1,691,122
წინასწარ გაწეული ხარჯები	17	79,355	-
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	18	28,460	17,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	633,767	505,220
წინასწარ გადახდილი გადასახადები		455,871	215,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	1,718,320	266,990
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,228,287	2,696,777
სულ აქტივები		16,053,284	11,295,111
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		301,378	379,343
გაუნაწილებელი მოგება		6,288,239	4,544,743
სულ საკუთარი კაპიტალი		6,589,617	4,924,086
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	21	5,859,994	4,264,870
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,859,994	4,264,870
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22	1,833,833	773,014
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	21	1,555,805	1,194,596
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23	214,035	138,545
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,603,673	2,106,155
სულ ვალდებულებები		9,463,667	6,371,025
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16,053,284	11,295,111

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2022 წლის 22 ივნისის მდგომარეობით	519,343	3,435,024	3,954,367
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,109,719	1,109,719
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(140,000)	-	(140,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	379,343	4,544,743	4,924,086
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,743,496	1,743,496
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(77,965)	-	(77,965)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	301,378	6,288,239	6,589,617

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2023 ლარი	2022 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	20,323,846	15,747,592
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(11,936,044)	(9,982,911)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,615,811)	(1,864,075)
გადახდილი გადასახადები	(2,138,458)	(1,316,420)
ფულადი სახსრების კორექტირება	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,633,533	2,584,186
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,529,948)	(2,111,978)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(50,000)	(35,150)
მიღებული სახელმწიფო დაფინანსება	342,032	380,967
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(17,350)	(207,485)
მიღებული პროცენტები	-	-
ცვლილებები სხვა საწარმოს მონაწილეობაში	-	(494,563)
მიღებული დივიდენდები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,255,266)	(2,468,209)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	1,919,976	68,013
გადახდილი პროცენტები	(749,728)	(710,593)
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	(77,965)	321,236
გადახდილი დივიდენდები	-	-
სხვა საწარმოს დაფინანსება	-	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,092,283	(321,344)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,470,550	(205,367)
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(19,220)	(18,640)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	266,990	490,997
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,718,320	266,990

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის****1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს სპეცკომფორტისა და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) შპს ლაკო - ჯორჯიას წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს სპეცკომფორტი (ს.კ.: 432543143) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 29/05/2015. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ბეტონის პროდუქციის წარმოება/მიწოდება და მასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 100% - ფ.პ. ვალერიან ღვინიაშვილი (24001005409, საქართველო);

შპს სპეცკომფორტის მიერ 2022 წელს შეძენილია შპს ლაკო - ჯორჯიას (ს.კ.: 433106710, თავდაპირველი სახელწოდება შპს „სერვისცენტრი“) წილის 100 პროცენტი. მისი რეგისტრაციის თარიღია: 07/05/2019. ოფიციალური მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი.

შპს ლაკო - ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალების მოპოვება/გადამუშავება/მიწოდება და ასევე ინფრასტრუქტურული მოპირკეთებითი მომსახურების გაწევა.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ეს არის ჯგუფის მიერ მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი

გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2023	31.12.2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2.8844

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

შემოსავალი სატრანსპორტო და მოპირკეთების მომსახურებიდან

შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან ხელშეკრულებაში განსაზღვრულ კონკრეტულ საფასურს წარმოადგენს და აღიარდება საბაზისო მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილებისთანავე.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც

პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-6 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი აღიარდება აქტივად და თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რაც განისაზღვრება საწარმოთა გაერთიანების ღირებულებიდან მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალური ღირებულების გამოკლებით. შემდგომში გუდვილი აისახება თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა

თუ შეუძლებელია, იგი განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, არა უმეტეს 10 წლისა.

იჯარა

სადაც ჯგუფი არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების

შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

მარაგები – ანარიცხების შეფასება

ჯგუფის მენეჯმენტი ახორციელებს ხელთ არსებული მარაგების რეგულარულ მიმოხილვას და აფასებს ანარიცხებს, მოძველებული ან ნელაბრუნვადი მარაგების მიმართ. ეს მიმოხილვები მოიცავს გაყიდვების ისტორიული მონაცემების, მიმდინარე ბაზრის პირობებისა და მომავალი გაყიდვების პროგნოზების ანალიზს. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განიხილება ამ მიმოხილვაში, არის:

გაყიდვების ისტორიული ტენდენციები: წარსული გაყიდვების მონაცემების ანალიზი ნელაბრუნვადი ან მოძველებული მარაგების გამოსავლენად.

დაზიანება და მოძველება: მარაგების ფიზიკური შემოწმება დაზიანებული ან ისეთი მარაგის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც აღარ არის გაყიდვადი.

მარაგების ღირებულებების კორექტირება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ წმინდა სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე დაბალია. ასეთი კორექტირებები აღიარდება, როგორც ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5. ამონაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	14,880,374	7,368,564
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	1,711,191	727,830
შემოსავალი მოპირკეთების მომსახურებიდან	614,021	8,932
	17,205,586	8,105,326

6. ამონაგების თვითღირებულება

	2023	2022
	ლარი	ლარი
რეალიზებული მარაგის თვითღირებულება	8,658,701	4,514,932
გამოყენებული მომსახურება	573,450	-
საწვავის ხარჯი	562,657	288,497
ძირითადი საშუალებების ცვეთა	532,211	473,165
	10,327,019	5,276,594

7. მიწოდების ხარჯები

	2023	2022
	ლარი	ლარი
სატრანსპორტო მომსახურება	778,494	354,207
ხელფასი მიწოდებაზე	366,984	169,524
მიწოდებაზე დახარჯული საწვავი	126,481	93,630
რეკლამის ხარჯები	46,304	21,507
მიწოდების სხვა ხარჯები	22,663	16,935
	1,340,926	655,803

8. პერსონალის შენახვის ხარჯები

	2023	2022
	ლარი	ლარი
სახელფასო ანაზღაურება	1,849,414	713,531
საპენსიო შენატანი (კომპანიის წილი)	50,768	25,976
ჯანმრთელობის დაზღვევა	27,781	-
	1,927,963	739,507

9. სხვა საერთო ხარჯები

	2023	2022
	ლარი	ლარი
იჯარის ხარჯი	209,770	26,130
რემონტის ხარჯი	197,956	28,081
საგადასახადო ხარჯი	100,986	86,827
საკონსულტაციო ხარჯები	93,951	39,372
საწვავის ხარჯი (ადმინისტრაციული)	82,861	43,016
კომუნალური ხარჯი	117,797	16,979
ბანკის მომსახურება	38,668	14,212
დაზღვევის ხარჯი	35,093	10,538

მომსახურების ხარჯი	30,666	10,271
ლაბორატორიის ხარჯი	19,250	390
საექვო მოთხოვნების კორექტირება	15,182	16,801
დაცვის მომსახურება	15,127	-
მივლინების ხარჯი	14,213	24,163
წუნდებული პროდუქცია	11,594	15,366
დაზიანებული ტარა-პადონი	6,424	59,892
საკანცელარიო ხარჯი	4,797	2,338
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,275	821
სხვა ხარჯები	77,225	59,488
	1,076,835	454,685

10. ფინანსური ხარჯები

ჯგუფის ფინანსური ხარჯები წარმოადგენს საბანკო სესხებზე (21-ე შენიშვნა) დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

11. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2023	2022
	ლარი	ლარი
სახელმწიფო დაფინანსება	342,032	217,232
ზარალის ანაზღაურება	67,581	1,200
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(66,106)	477,074
შედეგი ძირ. საშუალების რეალიზაციიდან	(49,541)	(4,473)
ჩამოწერილი მარაგი	(12,982)	(2,114)
დანაკლისი	(3,356)	-
ჯარიმა	(2,262)	(16,146)
საიჯარო შემოსავალი	(72)	(1)
სხვა	28,751	30,141
	304,045	702,913

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მიმდინარე მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>								
2022 წლის დასაწყისში	334,468	344,934	1,353,094	74,646	4,885,516	1,112,916	1,949	8,107,523
დამატებები	-	211,028	3,135	69,952	920,551	292,432	700	1,497,798
შიდა გადაცემები	-	(131,854)	131,854	-	-	-	-	-
გასვლები	(27,324)	-	-	-	(33,972)	(78,310)	-	(139,606)
2022 წლის 31 დეკემბერს	307,144	424,108	1,488,083	144,598	5,772,095	1,327,038	2,649	9,465,715
დამატებები	-	512,355	704,165	67,153	952,360	1,602,007	15,377	3,853,417
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	(763,418)	(61,991)	-	(346,220)	(122,631)	-	(1,294,260)
2023 წლის 31 დეკემბერს	307,144	173,045	2,130,257	211,751	6,378,235	2,806,414	18,026	12,024,872
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>								
2022 წლის დასაწყისში	-	-	122,945	10,076	468,334	204,670	145	806,170
ცვეთის ხარჯი	-	-	74,404	16,776	524,303	123,302	224	739,009
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	(19,205)	-	(19,205)
2022 წლის 31 დეკემბერს	-	-	197,349	26,852	992,637	308,767	369	1,525,974
ცვეთის ხარჯი	-	-	76,829	23,042	576,954	203,866	1,522	882,213
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(14,206)	-	(145,824)	(34,950)	-	(194,980)
2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	259,972	49,894	1,423,767	477,683	1,891	2,213,207
<u>საბალანსო ღირებულება:</u>								
2022 წლის დასაწყისში	334,468	344,934	1,230,149	64,570	4,417,182	908,246	1,804	7,301,353
2022 წლის 31 დეკემბერს	307,144	424,108	1,290,734	117,746	4,779,458	1,018,271	2,280	7,939,741
2023 წლის 31 დეკემბერს	307,144	173,045	1,870,285	161,857	4,954,468	2,328,731	16,135	9,811,662

ჯგუფის მიღებული სესხების (21-ე შენიშვნა) უზრუნველყოფაში ჩადებულია ძირითადი საშუალებები:

- მიწები საბალანსო ღირებულებით 307,144 ლარი;
- მანქანა-დანადგარები საბალანსო ღირებულებით 2,655,977 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებები საბალანსო ღირებულებით 22,109 ლარი.

13. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>			
2022 წლის 1 იანვარს	-	-	-
დამატებები	27,320	-	27,320
2022 წლის 31 დეკემბერს	27,320	-	27,320
დამატებები	-	177,014	177,014
2023 წლის 31 დეკემბერს	27,320	177,014	204,334
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>			
2022 წლის 1 იანვარს	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერს	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	8,113	8,113
2023 წლის 31 დეკემბერს	-	8,113	8,113
<u>საბალანსო ღირებულება:</u>			
2022 წლის 1 იანვარს	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერს	27,320	-	27,320
2023 წლის 31 დეკემბერს	27,320	168,901	196,221

ჯგუფის მიღებული სესხების (21-ე შენიშვნა) უზრუნველყოფაში ჩადებულია საინვესტიციო ქონება:

- მიწები საბალანსო ღირებულებით 27,320 ლარი;

14. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერ ული პროგრამები ლარი	ლიცენზიები ლარი	სულ ლარი
<u>თვითღირებულება:</u>			
2022 წლის დასაწყისში	5,822	-	5,822
დამატებები	29,876	-	29,876
2022 წლის 31 დეკემბერს	35,698	-	35,698
დამატებები	-	254,237	254,237
2023 წლის 31 დეკემბერს	35,698	254,237	289,935
<u>დაგროვილი ამორტიზაცია:</u>			
2022 წლის დასაწყისში	951	-	951
ამორტიზაციის ხარჯი	2,367	-	2,367
2022 წლის 31 დეკემბერს	3,318	-	3,318
ამორტიზაციის ხარჯი	5,355	-	5,355
2023 წლის 31 დეკემბერს	8,673	-	8,673
<u>საბალანსო ღირებულება:</u>			
2022 წლის დასაწყისში	4,871	-	4,871
2022 წლის 31 დეკემბერს	32,380	-	32,380
2023 წლის 31 დეკემბერს	27,025	254,237	281,262

15. გუდვილი

	შპს ლაკო - ჯორჯია ლარი
2022 წლის დასაწყისში	-
გადახდილი კომპენსაცია	494,563
მიღებული წმინდა აქტივები	135,851
ამორტიზაცია	(31,521)
2022 წლის 31 დეკემბერს	598,893
ამორტიზაცია	(63,041)
2023 წლის 31 დეკემბერს	535,852

16. მარაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
მზა პროდუქცია	1,031,532	976,494
ნედლეული და მასალები	492,597	127,276
ტარა-პადონი	310,569	296,751
სამეურნეო და სათადარიგო მარაგები	236,258	128,098
ნედლეული და მასალები	112,866	133,562
შესაფუთი მასალები	105,713	742
მზა პროდუქცია	11,777	2,545
საწვავი	11,181	23,029
დაუმთავრებელი წარმოება	-	2,625
სხვა მარაგები	21	-
	2,312,514	1,691,122

17. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს ობიექტებზე ჩატარებული სამუშაოების დანახარჯებს, რომლებიც ჯერ არ არის აღიარებული ამონაგებში.

18. მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები

ჯგუფის მოკლევადიან სასესხო მოთხოვნებს წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები, რომლებსაც საპროცენტო სარგებელი არ ერიცხება.

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	333,594	132,150
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(62,899)	(47,717)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	147,404	10,806
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	212,821	405,034
სხვა მოთხოვნები	2,847	2,847
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	2,100
	633,767	505,220

20. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023	2022
	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,717,876	266,634
ნაღდი ფული სალაროში	444	356
	1,718,320	266,990

21. სასესხო ვალდებულებები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2023 ლარი	2022 ლარი
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები ბანკებისგან	EUR	5%	832,189	857,100
სესხები ბანკებისგან	USD	3-8%	-	26,956
სესხები ბანკებისგან	GEL	12-15%	5,027,805	3,380,814
			5,859,994	4,264,870
<u>მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	EUR	5%	458,431	454,175
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	USD	3-8%	24,411	23,304
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	GEL	12-15%	1,072,963	717,117
			1,555,805	1,194,596

22. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023	2022
	ლარი	ლარი
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,103,664	470,515
მიღებული ავანსები	730,169	302,499
	1,833,833	773,014

23. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
	ლარი	ლარი
გადასახდელი ხელფასები	198,719	122,795
ვალდებულებები საწარმოს პერს. მიმართ	-	-
გადასახდელი პროცენტები	15,316	15,750
	214,035	138,545

24. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
2023			
გაყიდვები	3,039	945	3,984
შესყიდვები	-	5,625	5,625
სახელფასო ხარჯები	66,290	143,969	210,259
სავაჭრო მოთხოვნები	732	6,236	6,968
სახელფასო ვალდებულებები	4,471	7,563	12,034

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
2022			
გაყიდვები	112	7,553	7,665
შესყიდვები	-	600	600
სახელფასო ხარჯები	68,954	65,177	134,131
სავაჭრო მოთხოვნები	732	5,446	6,178
სახელფასო ვალდებულებები	3,567	4,036	7,603

25. პირობითი და შესაძლო ვალდებულებებიგადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ,

კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

26. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2023	2022
	ლარი	ლარი
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	28,460	17,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	270,695	84,433
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,718,320	266,990
	2,017,475	368,883

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2023		
	12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	5,859,994	5,859,994
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,103,664	-	1,103,664
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	1,555,805	-	1,555,805
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	214,035	-	214,035
	2,873,504	5,859,994	8,733,498

	2022		
	12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	4,264,870	4,264,870
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	470,515	-	470,515
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	1,194,596	-	1,194,596
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	138,545	-	138,545
	1,803,656	4,264,870	6,068,526

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის

მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2023				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	-	-	28,460	28,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	270,695	270,695
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	58,714	1,659,606	1,718,320
	-	58,714	1,958,761	2,017,475
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1,555,805	4,304,189	5,859,994
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	306,846	796,818	1,103,664
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	1,555,805	1,555,805
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	214,035	214,035
	-	1,862,651	6,870,847	8,733,498
წმინდა სავალუტო პოზიცია	-	(1,803,937)	(4,912,086)	(6,716,023)

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2022				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	-	-	17,460	17,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	84,433	84,433
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	164	408	266,418	266,990
	164	408	368,311	368,883
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1,194,596	3,070,274	4,264,870
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	155,785	314,730	470,515
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	1,194,596	1,194,596
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	138,545	138,545
	-	1,350,381	4,718,145	6,068,526
წმინდა სავალუტო პოზიცია	164	(1,349,973)	(4,349,834)	(5,699,643)

27. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯგუფში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- საწესდებო კაპიტალი შემცირდა 180,000 ლარით;
- მიღებული სესხები შემცირდა 190,463 ლარით;
- გაცემული სესხები შემცირდა 91,989 ლარით;

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს.

დირექტორი: მირზა დარბაიძე _____

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2022				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	-	-	17,460	17,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	84,433	84,433
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	164	408	266,418	266,990
	164	408	368,311	368,883
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	1,194,596	3,070,274	4,264,870
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	155,785	314,730	470,515
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	1,194,596	1,194,596
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	138,545	138,545
	-	1,350,381	4,718,145	6,068,526
წმინდა სავალუტო პოზიცია	164	(1,349,973)	(4,349,834)	(5,699,643)

27. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯგუფში აღგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:


- საწესდებო კაპიტალი შემცირდა 180,000 ლარით;
- მიღებული სესხები შემცირდა 190,463 ლარით;
- გაცემული სესხები შემცირდა 91,989 ლარით;

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს.

დირექტორი: მირზა დარბაიძე







შპს „სპეცკომფორტის“ მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

შპს „სპეცკომფორტი“ & შპს „ლაკო-ჯორჯია“

ჩვენი ხარისხი თქვენი კომფორტია!





სარჩევი:

1. შპს „სპეცკომფორტის“ საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა	3
2. შპს „სპეცკომფორტის“ სამომავლო გეგმები	6
3. შპს „სპეცკომფორტის“ კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	7
4. შპს „სპეცკომფორტის“ ინფორმაცია ფილიალების შესახებ	8
5. შპს „სპეცკომფორტის“ კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	9
6. შპს „სპეცკომფორტის“ ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ	10
7. შპს „სპეცკომფორტის“ კომპანიის ზოგადი გარემო და რისკ-ფაქტორების შეფასება	11
8. შპს „ლაკო-ჯორჯიას“ საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა	13
9. შპს „ლაკო-ჯორჯიას“ სამომავლო გეგმები	14
10. შპს „ლაკო-ჯორჯიას“ კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	15
11. შპს „ლაკო-ჯორჯიას“ ინფორმაცია ფილიალების შესახებ	16
12. შპს „ლაკო-ჯორჯიას“ და შპს „სპეცკომფორტის“ თანამშრომლობის პრიორიტეტები	17





1. საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა

შპს „სპეცკომფორტი“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლი 29 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, სადაც მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისი, ძირითადი საწყობი და შოურუმი.

კომპანია „სპეცკომფორტი“ დაარსდა 2015 წელს და ამ დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქართული ბაზრის ლიდერობისკენ. ის შეიქმნა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, რომელიც ახალ კომპანიებს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას სთავაზობდა.

განვითარების მთავარი ეტაპები:

1. დაარსება და ბაზარზე შესვლა (2015-2018):

- „სპეცკომფორტი“ თავდაპირველად მიზნად ისახავდა მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი და სამშენებლო მასალების წარმოებას. კომპანიის პირველი საწარმო გაიხსნა თბილისის დიღმის რაიონში, სადაც დაიწყო ვიბროდაწნეხილი ფილების, ბორდიურების და ბლოკების წარმოება.

2. საწარმოო შესაძლებლობების გაფართოება (2019-2021):

- ბაზარზე მოთხოვნის ზრდის შედეგად, კომპანიამ გადაწყვიტა საწარმოო შესაძლებლობების გაფართოება. მცხეთის რაიონში, სოფელ წეროვანში აშენდა ახალი საწარმო, რომელიც 15,000 კვადრატულ მეტრს მოიცავს და აღჭურვილია თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი დანადგარებით.

3. ტექნოლოგიური ინოვაციები და ხარისხის გაუმჯობესება (2021-2024):

- „სპეცკომფორტმა“ განაგრძო საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც პროდუქციის ხარისხი და წარმოების ეფექტურობა გააუმჯობესა. წარმოებაში დამატებულ იქნა ახალი პროდუქტები, როგორიცაა ფასადის ბლოკები, კოლონის ბლოკები და დეკორატიული ელემენტები. ამ პროდუქტებმა კომპანიას შესაძლებლობა მისცა, დაეკმაყოფილებინა უფრო ფართო მომხმარებელთა სეგმენტი.
- კომპანიის წარმოებული ყველა პროდუქტი შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და სერთიფიცირებულია საერთაშორისო ნორმებით.


„სპეცკომფორტი“ განაგრძობს ზრდას, ინვესტირებას ინოვაციებში და მზად არის შეინარჩუნოს თავისი პოზიციები სამშენებლო მასალების ქართულ ბაზარზე



კომპანია „სპეცკომფორტი“ აწარმოებს ვიბროპრესული ბეტონის მასალებს, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის. პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს:

1. მოსაპირკეთებელი ფილები:


სხვადასხვა ფერის, ფორმისა და სისქის ვიბროპრესული ბეტონის ფილები, რომლებიც გამოიყენება ბაღების, ტროტუარების, მოედნების და სხვა ექსტერიერის დასაგებად.



2. ბორდიურები:

საგზაო და ბაღის ბორდიურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზონების გამიჯვნას და ტროტუარების ან გზის კუთხეების გაძლიერებას.

3. სამშენებლო ბლოკები ბეტონისა და პემზის: მყარი და ენერგოეფექტური ბლოკები, რომლებიც გამოიყენება შენობების მშენებლობისთვის.







4. **სანიაღვრე არხები:** ბეტონის სანიაღვრე არხები, რომლებიც გამოიყენება წყლის გამტარიანობისა და ნაკადის რეგულაციისთვის გზებზე, პარკებში და სხვა ტერიტორიებზე.



5. **დეკორატიული პროდუქტები:** დამატებითი დეკორატიული ელემენტები (ფასადისა და კოლონის ბლოკები, ფასადისა და კოლონის ქუდები), რომლებიც გამოიყენება ექსტერიერის დიზაინის დასახვეწად და გასალამაზებლად.

ეს პროდუქცია გამორჩეულია თავისი გამძლეობით და აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათ ხანგრძლივ ექსპლუატაციას და მაღალი ხარისხის გარანტიას.






2. სამომავლო გეგმები

კომპანია „სპეცკომფორტი“ მომავალში გეგმავს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

1. **ასორტიმენტის გაფართოება:** კომპანია აპირებს დაამატოს ახალი ტიპის და დიზაინის პროდუქცია, რათა გააფართოვოს არსებული ასორტიმენტი და დააკმაყოფილოს უფრო ფართო მომხმარებლის მოთხოვნები.
2. **გლობალური ბაზრების ათვისება:** ერთ-ერთი მთავარი გეგმაა საერთაშორისო ბაზრებზე შესვლა და ექსპორტის გაფართოება, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას, მოიზიდოს მეტი კლიენტი და პარტნიორი საზღვარგარეთ.
3. **ინოვაციური პროექტები:** კომპანია მუდმივად მუშაობს ახალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე, რაც ხელს შეუწყობს წარმოების პროცესის გაუმჯობესებას და პროდუქციის ხარისხის გაზრდას.
4. **სოციალური პასუხისმგებლობა:**
„სპეცკომფორტი“ გეგმავს მეტი ინვესტიციების ჩადებას სოციალურ და ეკოლოგიურ პროექტებში, რაც გამოიხატება ადგილობრივი დასახელების გაძლიერებაში და გარემოს დაცვაში.
5. **ინფრასტრუქტურის განახლება:** კომპანიის მიზანია საწარმოო სიმძლავრეების და ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს ახალი საწარმოების აშენებას და არსებული საწარმოების მოდერნიზაციას.



ეს გეგმები საშუალებას მისცემს კომპანიას, გააგრძელოს ზრდა და გამყაროს თავისი პოზიციები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე



3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

კომპანია „სპეცკომფორტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევებისა და განვითარების (დ&) პროცესებს, რაც არის მათი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. კომპანიის კვლევებისა და განვითარების საქმიანობა მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას:

1. ახალი პროდუქტის განვითარება:

- კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი პროდუქტების დიზაინსა და შემუშავებაზე, რათა დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნები და გააფართოვოს თავისი ასორტიმენტი. ახალი ტიპის ფილები და ბორდიურები, რომლებიც ექსკლუზიურად „სპეცკომფორტში“ იწარმოება, ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

2. ინოვაციური მასალების გამოყენება:

- „სპეცკომფორტი“ მუდმივად იკვლევს და ტესტავს ახალი მასალების გამოყენების შესაძლებლობებს, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, შექმნას უფრო გამძლე, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური პროდუქტები.

3. ტექნოლოგიური მოდერნიზაცია:

- კომპანია აქტიურად ნერგავს უახლეს ტექნოლოგიებს წარმოების პროცესში. ეს მოიცავს როგორც ახალი დანადგარების შეძენას, ასევე არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ეფექტურობას და პროდუქციის ხარისხს.

4. ბაზრის კვლევა და ანალიზი:

- „სპეცკომფორტი“ რეგულარულად ატარებს ბაზრის კვლევებს, რათა უკეთ გაერკვეს მომხმარებელთა მოთხოვნებსა და საჭიროებებში. ეს კვლევები ეხმარება კომპანიას, დაადგინოს რა მიმართულებით უნდა განავითაროს თავისი პროდუქცია და რა ინოვაციები დანერგოს.

5. ტესტირება და სერთიფიცირება:

- ახალი პროდუქტები გადის დეტალურ ტესტირებას როგორც კომპანიის შიგნით, ასევე დამოუკიდებელ ლაბორატორიებში. ეს პროცესი უზრუნველყოფს პროდუქციის





უსაფრთხოებას, გამძლეობას და შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

6. ეკოლოგიური განვითარების ინიციატივები:

- კომპანიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ეკოლოგიური მიმართულების კვლევები. „სპეცკომფორტი“ მუდმივად ეძებს გზებს, რათა შეამციროს ნარჩენები და ენერგიის მოხმარება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, იყოს გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი.

ამგვარად, „სპეცკომფორტის“ კვლევებისა და განვითარების სტრატეგია მოიცავს როგორც ახალი პროდუქციის შექმნას და ტექნოლოგიური ინოვაციებს, ასევე ეკოლოგიურ და ბაზრის ანალიზის ინიციატივებს, რაც საბოლოოდ აძლევს კომპანიას კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების შესაძლებლობას

4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

„სპეცკომფორტი“ ამჟამად ფლობს რამდენიმე ფილიალს და პარტნიორობს „ნოვასთან“, რაც მის პროდუქციას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის:

1. ძირითადი ფილიალები:

- წეროვანი, მცხეთის რაიონი - კომპანიის მთავარი ოფისი და საწარმო.
- თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა - განთავსებულია კომპანიის ერთ-ერთი ფილიალი, რომელიც მოსახერხებელია თბილისის მომხმარებლებისთვის.
- თელავის ფილიალი - ემსახურება რეგიონალურ განვითარებას და მომხმარებლებს კახეთში.

2. პარტნიორობა „ნოვასთან“:

„სპეცკომფორტი“ თანამშრომლობს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების ერთ-ერთ უმსხვილეს დისტრიბუტორ „ნოვასთან“. ეს პარტნიორობა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, „ნოვა“-ს ნებისმიერ ფილიალში იხილონ „სპეცკომფორტის“ პროდუქცია. ეს ზრდის ბრენდის ხელმისაწვდომობას, მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციის მრავალფეროვნებას და ხარისხს.





5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები:

1. მოგება:

- კომპანიის წმინდა მოგება მუდმივად იზრდება, რაც შედეგია ეფექტური წარმოების და ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზაციის. ამასთან, მოგების ზრდა გამოწვეულია კომპანიის ინვესტიციებით ტექნოლოგიებსა და წარმოების მოდერნიზაციაში.

2. ინვესტიციები:

- „სპეცკომფორტი“ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს წარმოების გაფართოებასა და ტექნოლოგიური პროცესების განახლებაში. მაგალითად, წეროვნის ახალი საწარმოს გახსნა კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია იყო, რაც დაეხმარა მას წარმოების მოცულობის გაზრდაში.

◦

არაფინანსური მაჩვენებლები:

1. შრომის რესურსები:

- „სპეცკომფორტში“ დასაქმებულია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ ხარისხს. კომპანიაში მუშაობენ კვალიფიციური ინჟინრები, ტექნიკოსები და მენეჯერები.

2. ხარისხის სერტიფიკატები:

- კომპანიას გააჩნია საერთაშორისო სერტიფიკატები, რაც ადასტურებს მის პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთხოებას. სერტიფიკატები ხელს უწყობს კომპანიის ნდობას მომხმარებლებს შორის.

3. ბრენდის პრესტიჟი:

- „სპეცკომფორტი“ არაერთხელ იქნა აღიარებული და დაჯილდოებული „ოქროს ბრენდის“ ტიტულით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის მაღალ პრესტიჟს და სანდოობას ბაზარზე.

4. სოციალური პასუხისმგებლობა:

- კომპანია აქტიურად არის ჩართული სოციალურ პროექტებში და მხარს უჭერს ადგილობრივ საზოგადოებებს, განსაკუთრებით დასაქმების მხრივ. ასევე, „სპეცკომფორტი“ ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური წარმოების ტექნოლოგიებს ნერგავს, რაც შეესაბამება გარემოსდაცვით სტანდარტებს.



წარმოების კომბინაცია აჩვენებს „სპეცკომფორტის“ როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ სიძლიერეს, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას შეინარჩუნოს ლიდერის პოზიციები საქართველოს ბაზარზე.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ

„სპეცკომფორტი“ ამ ეტაპზე არ ფლობს საკუთარი აქციებს საჯარო ბაზარზე და შესაბამისად, არ ახორციელებს აქციებით ვაჭრობას. კომპანიის სტრატეგია და საქმიანობა ფოკუსირებულია უშუალოდ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი პროექტების განვითარებაზე. თუ მომავალში დაგეგმილი იქნება კომპანიის აქციების გამოშვება ან საჯარო შეთავაზება, ამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე და საჯარო განცხადებებში.

7. კომპანიის ზოგადი გარემო და რისკ-ფაქტორების შეფასება

ფაქტორი	აღწერა	შეფასება
სამართლებრივი გარემო	კომპანიის ოპერაციები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სამშენებლო სტანდარტებთან. კანონიერი მოთხოვნების შესრულება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.	მყარი სამართლებრივი გარემო უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილურობას, მაგრამ რეგულაციების ცვლილებები შეიძლება პოტენციურად მოახდინოს გავლენა წარმოების პროცესზე.
ეკონომიკური გარემო	სამშენებლო სექტორი საქართველოში აქტიურად ვითარდება, რაც „სპეცკომფორტისთვის“ ხელსაყრელ ბაზარს ქმნის. მოთხოვნა იზრდება მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელ მასალებზე.	ეკონომიკური ზრდა და პროექტების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს კომპანიასთვის სასიკეთო გარემოს, მაგრამ ინფლაცია და ფინანსური კრიზისები ქმნიან პოტენციურ გამოწვევებს.
სოციალური გარემო	კომპანია აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ	დადებითი სოციალური გავლენა ზრდის კომპანიის რეპუტაციას,



ფაქტორი	აღწერა	შეფასება
	დასაქმებაში და ცდილობს შეასრულოს სოციალური პასუხისმგებლობა.	თუმცა საჭიროებს მუდმივ ყურადღებას და სოციალური ჩართულობის შენარჩუნებას.
ტექნოლოგიური გარემო	„სპეცკომფორტი“ იყენებს თანამედროვე, ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რაც ზრდის წარმოების ეფექტურობას და პროდუქტების ხარისხს.	ტექნოლოგიური ინოვაციები ზრდის კონკურენტუნარიანობას, მაგრამ მოითხოვს მუდმივ ინვესტიციებს და ტექნოლოგიების განახლებას, რათა კომპანიამ შეინარჩუნოს პოზიციები.
ბაზრის მდგომარეობა	ბაზარზე მაღალი კონკურენციაა, რაც კომპანიას აიძულებს მუდმივად აუმჯობესოს თავისი პროდუქტები და სერვისები.	ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენცია ქმნის გამოწვევებს, მაგრამ ასევე ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ინოვაციების დანერგვას.



რისკ-ფაქტორები	აღწერა	შეფასება
ბაზრის რისკები	კონკურენციის ზრდა და ახალი მოთამაშეების შემოსვლა შეიძლება გამოიწვიოს ფასების დაქვეითება და წილის დაკარგვა ბაზარზე.	ბაზრის რისკები ქმნის დამატებით გამოწვევებს, მაგრამ ძლიერი ბრენდი და ხარისხიანი პროდუქცია ამცირებს ამ რისკების გავლენას.
ფინანსური რისკები	ფინანსური მდგრადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. კრედიტორებთან ურთიერთობის რთულობა ან საბანკო სესხების პირობების ცვლილება შეიძლება ნეგატიურად აისახოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.	ფინანსური რისკები მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს და მოქნილ სტრატეგიებს, რომ თავი აარიდოს ფინანსური სტრესის ზეწოლას.
ოპერაციული რისკები	წარმოების პროცესში შესაძლებელია ტექნიკური პრობლემები, მასალის მიწოდების შეფერხებები ან გაუმართაობა, რაც შეიძლება კომპანიის მუშაობის შეფერხებას გამოიწვიოს.	ოპერაციული რისკების მართვა მოითხოვს ეფექტურ ლოჯისტიკას და ხარისხის მუდმივ კონტროლს, რათა მინიმუმამდე დავიდეს შესაძლო შეფერხებები.
გარემოსდაცვითი რისკები	წარმოების პროცესს შეიძლება ჰქონდეს ზემოქმედება გარემოზე, რაც დაკავშირებულია გარემოსდაცვით რეგულაციებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხთან.	გარემოსდაცვითი რისკების მართვა და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის მდგრადობისთვის.
რეპუტაციული რისკები	მომხმარებლების უკმაყოფილება, პროდუქციის ხარისხის საკითხები ან საზოგადოებაში ნეგატიური შეფასებები შეიძლება ზიანის მომტანი იყოს კომპანიის რეპუტაციისთვის.	მაღალი ხარისხის და კლიენტების კმაყოფილების შენარჩუნება ამცირებს რეპუტაციულ რისკებს, თუმცა საჭიროა მუდმივი ყურადღება და სწრაფი რეაგირება პრობლემებზე.

ეს ცხრილი აჩვენებს „სპეცკომფორტის“ გარემოსა და რისკ-ფაქტორების შეფასებას, რაც კომპანიის სტრატეგიულ დაგეგმარებაში მნიშვნელოვანია.



8. საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა




შპს "ლაკო-ჯორჯია" არის შპს „სპეცკომფორტი“ შვილობილი კომპანია, რომელიც სთავაზობს ვიბროდაწნეხილი ფილების, ბორდიურების და სხვა მოსაპირკეთებელი მასალების დაგებისა და მონტაჟის სერვისებს. კომპანიის მთავარი პრიორიტეტი არის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და ეფექტური სამუშაო პროცესის მენეჯმენტი. ჩვენი კომპანია მიზნად ისახავს თითოეული პროექტის წარმატებით დასრულებას და მომხმარებლის სრულ დაკმაყოფილებას.

საქმიანობის მიმოხილვა

"ლაკო-ჯორჯია" გთავაზობთ პროფესიონალურ სერვისებს, რომლებიც მოიცავს:

1. **ადგილზე ვიზიტს და შეფასებას** – ჩვენი გუნდი რეგულარულად ასრულებს ადგილზე ვიზიტებს, რათა შეაფასოს პროექტის საჭიროებები და შემოგთავაზოთ საუკეთესო გადაწყვეტილებები.
2. **კონსულტაცია და ხარჯთაღრიცხვის მომზადება** – ჩვენ გთავაზობთ კომპლექსურ კონსულტაციებს და ხარჯთაღრიცხვას, რაც დაგეხმარებათ პროექტის დაგეგმვასა და ბიუჯეტის მართვაში.
3. **ვიბროდაწნეხილი ფილების და ბორდიურების დაგება** – ჩვენი მთავარი საქმიანობა ფოკუსირებულია ფილებისა და ბორდიურების სწრაფ და ეფექტურ მონტაჟზე, რაც უზრუნველყოფს ზედაპირების მაღალი ხარისხითა და სიზუსტით დაგებას.



განვითარება

"ლაკო-ჯორჯია" მუდმივად ეყრდნობა ტექნოლოგიურ ინოვაციებს და ახალისებს

ტექნოლოგიურ განვითარებას. კომპანიამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა თანამედროვე აღჭურვილობის შესაძენად, განსაკუთრებით **Optimas Paver Laying** მანქანებისა და **Optimas** სატკეპნების მიმართულებით, რაც საშუალებას გვაძლევს პროექტები უფრო სწრაფად, ეფექტურად და უმაღლესი სტანდარტებით შევასრულოთ.





აღნიშნული ტექნიკით, ჩვენი კომპანია ახერხებს დიდი ფართობების სწრაფ და ზუსტ დაგებას, რაც ზრდის სამუშაოს ეფექტურობას და ამცირებს შრომის ხარჯებს. შედეგად, ვახერხებთ, რომ ჩვენი მომსახურება იყოს არამარტო ხარისხიანი, არამედ დროში და ფინანსურადაც ეფექტური.

კომპანიის მდგომარეობა

დღეს "ლაკო-ჯორჯია" არის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თავის სექტორში და აქტიურად მუშაობს არაერთ მასშტაბურ პროექტზე. კომპანიის წარმატება განპირობებულია პროფესიონალური გუნდისა და თანამედროვე ტექნოლოგიების კომბინაციით, რაც საშუალებას გვაძლევს გავუმკლავდეთ როგორც მცირე, ასევე დიდ პროექტებს.

"ლაკო-ჯორჯია" აგრძელებს განვითარებას და მუდმივად ეძებს ინოვაციურ მიდგომებსა და ახალ შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს მომხმარებლებისთვის საუკეთესო სერვისები, რომელიც პასუხობს დღევანდელ ბაზრის მოთხოვნებს.

9. შპს "ლაკო-ჯორჯიას" სამომავლო გეგმები

"ლაკო-ჯორჯიას" სამომავლო მიზნები მოიცავს როგორც კომპანიის საქმიანობის გაფართოებას, ასევე ხარისხის გაუმჯობესებასა და ტექნოლოგიური პროგრესის უზრუნველყოფას. ჩვენ ვგეგმავთ:

1. **პროექტების მასშტაბის გაზრდა** – კომპანიის მიზანია უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე გაფართოება. "ლაკო-ჯორჯია" აპირებს აქტიურად ჩაერთოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ზრდას.
2. **ტექნოლოგიური ინოვაციები** – მომავალში ვგეგმავთ ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოღებას. ჩვენი მიზანია სამუშაო პროცესის ავტომატიზაცია



სპეცტურობის ამაღლება, რათა პროექტები შესრულდეს კიდევ უფრო სწრაფად და ხარისხიანად.

3. **სერვისების დივერსიფიკაცია** – "ლაკო-ჯორჯია" განიხილავს დამატებითი სერვისების გაწევას, რაც მოიცავს როგორც ახალი ტიპის მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებას, ასევე მოპირკეთების სამუშაოების უფრო ფართო სპექტრს.
4. **გუნდის განვითარება** – ჩვენთვის პრიორიტეტულია პროფესიული განვითარება და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება. მომავალში იგეგმება თანამშრომლების დამატებითი გადამზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
5. **ბაზარზე პოზიციების განმტკიცება** – კომპანიის მიზანია არსებული პოზიციების გამყარება და კონკურენციის წინაშე მდგარი გამოწვევების წარმატებით დაძლევა. ამისთვის იგეგმება მარკეტინგული სტრატეგიის გაძლიერება და ახალი პარტნიორების მოძიება.

"ლაკო-ჯორჯია" მუდმივად მიიწევს წინ და გეგმავს თავისი რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნას უკეთესი და უფრო წარმატებული მომავალი.

10. შპს "ლაკო-ჯორჯიას" კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

"ლაკო-ჯორჯია", როგორც დაგების სერვისის მომწოდებელი კომპანია, კვლევებისა და განვითარების (R&D) მიმართულებით აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს თავისი სერვისების მუდმივი გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობა. მისი R&D საქმიანობა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. **ტექნოლოგიური ინოვაციები** – კომპანიის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია უახლესი ტექნოლოგიების კვლევა და დანერგვა. "ლაკო-ჯორჯია" იყენებს ისეთ თანამედროვე დანადგარებს, როგორიცაა **Optimas Paver Laying** მანქანები და **Optimas** სატკეპნები. ეს ტექნიკა უზრუნველყოფს უფრო სწრაფ და ზუსტ ფილებისა და ბორდიურების დაგებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შესრულების ეფექტურობას და ამცირებს პროექტების დასრულების დროს.
2. **სამუშაოს ეფექტურობის ზრდა** – R&D პროცესი მუდმივად ორიენტირებულია სამუშაოს ოპტიმიზაციაზე. კომპანია იკვლევს და აფართოებს დანადგარების გამოყენების არეალს, რათა უზრუნველყოს რესურსების, დროის და ფინანსების მაქსიმალური დაზოგვა. ახალი ტექნოლოგიებისა და სამუშაო პროცესის ავტომატიზაციის შედეგად, "ლაკო-ჯორჯია" ახერხებს პროექტების შესრულებას ნაკლები ადამიანური რესურსებითა და დროის შემცირებით.



პროექტის გაუმჯობესება – კომპანიის კვლევები ყურადღებას ამახვილებს სამუშაო პროცესის გამარტივებასა და სიზუსტეზე. სპეციალიზებული დამგები მანქანების გამოყენებით, "ლაკო-ჯორჯია" ახერხებს ფილებისა და

ბორდიურების ზუსტად, თანაბრად და ხარისხიანად განლაგებას, რაც ამცირებს შესაძლო შეცდომებს და მინიმუმამდე აქცევს დამატებითი სარემონტო სამუშაოების საჭიროებას.

4. **მდგრადი და ეკოლოგიური მიდგომები** – R&D მიმართულება აქცენტს აკეთებს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი პრაქტიკების განვითარებაზე. კომპანია მიზნად ისახავს სამუშაო პროცესის ენერგოეფექტურობის ზრდას და ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებას, რათა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა და მდგრადი გადაწყვეტილებების დანერგვა.
5. **მომხმარებელთა მოთხოვნების ანალიზი** – "ლაკო-ჯორჯია" აქტიურად ატარებს კვლევებს იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება მომხმარებელთა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილება. ეს მოიცავს სერვისების გაუმჯობესებას და ახალი მიდგომების შემუშავებას, რათა კლიენტებს შესთავაზოს უფრო პერსონალიზებული და ინოვაციური გადაწყვეტილებები.

"ლაკო-ჯორჯიას" კვლევებისა და განვითარების მიმართულება საშუალებას აძლევს კომპანიას, იყოს მუდმივად მოწინავე პოზიციებზე, უზრუნველყოს ეფექტური და თანამედროვე სერვისები, და უზრუნველყოს თავისი პროექტების ხარისხის და სისწრაფის გაუმჯობესება.

11. შპს "ლაკო-ჯორჯიას" ფილიალები

ამ ეტაპზე შპს "ლაკო-ჯორჯიას" საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა კომპანია მუდმივად ავითარებს რეგიონალურ მომსახურებებსა და გაფართოების გეგმებს. "ლაკო-ჯორჯია" ახორციელებს სერვისების მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით და მიზნად ისახავს ფილიალების გახსნას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, სადაც მოთხოვნა მაღალია.

ფილიალების ქსელის გაფართოების მიზანია მომხმარებლებისთვის უფრო სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების შეთავაზება, რათა ადგილობრივად მოხდეს პროექტების შესრულება და სერვისების მიწოდება. გაფართოების გეგმა ასევე ითვალისწინებს რეგიონებში დასაქმების ზრდასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის გაზრდას.



12. შპს "სპეცკომფორტისა" და შპს "ლაკო-ჯორჯიას" თანამშრომლობის პრიორიტეტები

- ინტეგრირებული და კომპლექსური სერვისები** – მომხმარებელი ერთდროულად იღებს სერვისებს, რომლებიც მოიცავს პროექტების დაგეგმვას, მოსაპირკეთებელ სამუშაოებსა და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას. ეს ამცირებს პროექტის კოორდინაციის სირთულეებს და უზრუნველყოფს გამართული და უწყვეტი სამუშაო პროცესის მართვას.
- მაღალი ხარისხის შესრულება** – ორივე კომპანიის თანამშრომლობა უზრუნველყოფს პროექტების უმაღლესი ხარისხის შესრულებას. "სპეცკომფორტის" გამოცდილება და "ლაკო-ჯორჯიას" თანამედროვე ტექნოლოგიები და პროფესიონალები უზრუნველყოფენ სამუშაოს სწრაფ, ზუსტ და გამძლე შესრულებას.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება** – მომხმარებელი სარგებლობს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა "Optimas Paver Laying" მანქანები და სხვა თანამედროვე აღჭურვილობა, რაც ზრდის სამუშაოს სიზუსტეს, ეფექტურობას და პროცესის ავტომატიზაციას.
- დროული და სწრაფი შესრულება** – ამ ორი კომპანიის თანამშრომლობით, სამუშაო პროცესები უფრო ოპტიმიზებულია, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს დაასრულონ პროექტები შედარებით ნაკლებ დროში, თუმცა მაღალი სტანდარტების დაცვით.
- ხარჯების ეფექტურობა** – "სპეცკომფორტისა" და "ლაკო-ჯორჯიას" თანამშრომლობით, მომხმარებელი სარგებლობს ხარჯების შემცირების შესაძლებლობით. ტექნოლოგიების გამოყენება და ოპტიმიზებული სამუშაო პროცესები ამცირებს დამატებით რესურსების საჭიროებას, რაც ზოგავს ფინანსებს და ზრდის მომხმარებლისთვის სერვისის ღირებულებას.
- სანდოობა და სტაბილურობა** – "სპეცკომფორტისა" და "ლაკო-ჯორჯიას" ერთობლივი პროექტები სანდო პარტნიორობის საფუძველზე ტარდება, რაც მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება სტაბილური და გამძლე გრძელვადიან პერსპექტივაში.

**სამშენაბლო
ვიბროდაწნებილი
მასალა
შპს სპეცკომფორტი**

საუკეთესო პარტნიორობა

თქვენი კომფორტისთვის

შპს ლაკო-ჯორჯია

**მოპირკეთების
სამუშაოების
სრული სპეციალისტი**

032 2 110 310 – საპროექტო
032 060 077 – ლაკო-ჯორჯია

მსხმეთის რაიონი,
სოფ. წარძეანი



მომხმარებელით, მომხმარებელი იღებს არა მხოლოდ სერვისების უფრო მაღალ დონეს, არამედ უფრო მოქნილ, სწრაფ და ხარჯთეფექტურ გადაწყვეტილებებს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 10 ოქტომბრეს

მირზა დარბაიძე

დირექტორი



ამიტომ, მომხმარებელი იღებს არა მხოლოდ სერვისების უფრო მაღალ დონეს, არამედ უფრო მოქნილ, სწრაფ და ხარჯთეფექტურ გადაწყვეტილებებს.

დირექტორი

